ამერიკულ საჯარო სკოლებში მიღებული გამოცდილება და შთაბეჭდილებები

საქართველო დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანაა, მას აქვს საკუთარი კულტურა და ტრადიცია; ის ძალიან განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, როგორც ეკონომიკური მონაცემებით, ისე იდენტობის განცდით, მსოფლმხედველობით და სხვა უამრავი ნიშნით, თუმცა, ორივე ქვეყანში თანამედროვე სკოლის ჩარჩო და დიზაინი თითქმის იდენტურია.

ორივე ქვეყნის განათლების სიტემა თანხმდება ერთ საერთო იდეაზე, რომ განათლება მხოლოდ დაბეჭდილი წიგნების დაზეპირებას არ უნდა გულისხმობდეს, რადგან ეს მეთოდი მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებას ხელს ვერ შეუწყობს. სწავლა ნიშნავს ძიებას. მოსწავლეთათვის მხოლოდ ფაქტების სწავლება არაა მნიშვნელოვანი, არამედ მათი ძიება და პოვნა. სწავლა ეს იგივე მოგზაურობაა საინტერესო სამყაროში, სადაც მოსწავლეები ბევრ ახალ უნარს იძენენ.

თანამედროვე სწავლების მიდგომები ორიენტირებულია მასალის ადვილად და სწორად ათვისებაზე. თუ ძველი სკოლის მოდელს გავიხსენებთ, იქ მასწავლებლის იმიჯი ასეთია: ის იდგა კლასის წინ და მან ყველაფერი იცოდა. სასწავლო სივრცეში მასწავლებელი იყო მთავარი. დღეს კი მთავარია მოსწავლე თავისი მოთხოვნებითა და შესაძლებლობებით. თანამედროვე მასწავლებელი მოსწავლეს ეხმარება პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში, არჩევანის გაკეთებაში, აზროვნების განვითარებასა და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების შეძენაში. ამერიკული სისტემა სრულად მორგებულია მოსწავლეზე და ამზადებს მას, გააკეთოს სწორი არჩევანი, განავითაროს შემოქმედებითად, მიეჩვიოს გუნდურ მუშაობას და აითვისოს სოციალური უნარები, რაც დამოუკიდებელ ცხოვრებას აჩვევს, რათა შეძლოს საზოგადოებაში თავის დამკვიდრება.

მინდა გაგიზიაროთ, 2022 წლის მაისში პროექტი ჰარმონიის (PH International) მიერ განხორციელებული და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მეირ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამის, სახელწოდებით „სამოქალაქო განათლება და ტექნოლოგიები ინგლისური ენის გამოყენებით (CTEL-ITT)“, ფარგლებში მიღებული შთაბეჭდილებები და გამოვხატო აღფრთოვანება იქ არსებული სასწავლო გარემოს მიმართ. CTEL-ITT გაცვლითი პროგრამის მონაწილეებისათვის ვიზიტები მოეწყო ჰარვარდის უნივერსიტეტსა და ვერმონტის შტატის საჯარო სკოლებში. გაკვეთილზე დაკვირვებას მოჰყვა პროფესიული დისკუსია და ბრიფინგი ამერიკელ კოლეგებთან და სტუდენტებთან ერთად. გაცვლითი პროგრამის მთავარი მიზანი იყო ინტეგრირებული და გუნდური სწავლების მოდელების ამერიკული გამოცდილების შესწავლა და მისი დანერგვის ხელშეწყობა ქართულ კონტექსტში.

ამერიკულ საჯარო სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესში უპირატესობა ენიჭება გუნდურ სწავლებას, საგანთა ინტეგრირებასა და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას. იმისათვის, რომ შეიქმნას პოზიტიური სასწავლო სივრცე მოსწავლეებს სთავაზობენ დემოკრატიულ გარემოს, სადაც მათ არჩევანის საშუალება ეძლევათ. სკოლებში დანერგილია რობოტექნიკის, საოჯახო ეკონომიკის, ხელსაქმის შესასწავლი და გასვლითი გაკვეთილები, რომლებიც მოსწავლეებს ფაქტებისა დამახსოვრების საშუალებას უფრო უადვილებს, ვიდრე საკლასო ოთახში გამართული რუტინული სწავლება.

ამერიკულ სკოლებში მეტად იგრძნობა, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, ისინი ხშირად ერთად გეგმავენ გაკვეთილებს, ერთმანეთისგან

სწავლობენ რაღაც ახალს და ფიქრობენ მომავალზე. ასევე, ყველა სკოლას და თითქმის ყველა კლასს ჰყავს დამხმარე მასწავლებელი, რომელიც ეხმარება ყველა იმ მოსწავლეს, რომელსაც ათვისების პრობლემა აქვს. მათ ასევე ჰყავთ ფსიქოლოგები, რომლებიც ისე ეხმარებიან ბავშვებს სირთულეების დაძლევაში, რომ მათ ამის შესახებ არ იციან.

გარდა ამისა, სწავლის ხარისხზე დადებით გავლენას ახდენს სუპერ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კლასები. ნიშანდობლივია, რომ ყველა სკოლაში არის რამდენიმე თანამედროვედ მოწყობილი ლაბორატორია, კომპიუტერულ-ტექნოლოგიური ოთახი, მუსიკალური ინსტრუმენტებით სავსე კაბინეტი და რამდენიმე სხვადასხვა, სპორტისთვის განკუთვნილი, მოედანი, დიდი ბიბლიოთეკა და კაფეტერია. ასევე, მასწავლებლებისთვის ცალკე სამუშაო სივრცეებია მოწყობილი, სადაც მასწავლებლები გუნდური თანასწავლებისა და საგანთა ინტეგრაციის მიზნით ყოველ მეორე დღეს ხვდებიან და გეგმავენ მომდევნო გაკვეთილს. სკოლის ეს სტრუქტურა ყველგან დაცულია. სკოლებს აქვთ კაბინეტური სიტემა, რაც მასწავლებლებისთვის დამატებითი კომფორტია და მოსწავლეები შესვენების დროს გადაინაცვლებემ კლასიდან კლასში.

საქართველოს სკოლებისგან განსხვავებით, ამერიკულ სკოლებში თვალშისაცემია კიდევ რამდენიმე გარემოება, ასე მაგალითად:

- სკოლები დაყოფილია სამ ასაკობრივ კატეგორიად: დაწყებითი კლასები (1-4 ძირითადად ცალკე შენობაში არიან განთავსებული), საშუალო (5-8) და დამამთავრებელი კლასები (9-12).
- საგნების უმრავლესობას არ გააჩნია რაიმე კონკრეტული გრიფირებული სახელმძღვანელო. წლის დასაწყისში მასწავლებლები თავად ადგენენ კურიკულუმს და ირჩევენ სასწავლო ლიტერატურას,, რაც თემატურად ეყრდნობა “საერთო ძირითად სახელმწიფო სტანდარტს (CCSS)” და “ახალი თაობის სამეცნიერო სტანდარტს (NGSS)”.
- პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს რამდენიმე საგანთა ინტეგრაციის გარდა თქვენ ასევე შეხვდებით სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების (კლასების) ინტერგრაციას ერთ სივრცეში.
- თითოეული საგნის მასწავლებელი ასწავლის მხოლოდ ორ სხვადასხვა კლასს ეს კი მასწავლებელს უადვილებს პროცესს, შეიმუშაოს თითოეულ მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, დააკვირდეს მათ პროგრესს და ობიექტურად შეაფასოს ისინი.
- თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა 90 წუთია. გაკვეთილის მსვლელობისას პირველი 20 წუთი მასწავლებლის ინსტრუქციებს ეთმობა, ხოლო დარჩენილი 70 წუთის განმავლობაში მოსწავლეები მუშაობენ დავალებაზე.
- მოსწავლეებს ძირითადად დღეში სულ 4 გაკვეთილი აქვთ, გაკვეთილებს შორის შესვენება 5 წუთია. ორი გაკვეთილის შემდეგ, მოსწავლეებს აქვთ ერთი დიდი, 30 წუთიანი შესვენება.
- ყოველი გაკვეთილის დაწყებიდან პირველი 15 წუთის მანძილზე მოსწავლეებს საშუალება აქვთ საკლასო ოთახში იკვებონ და ისე უსმინონ მასწავლებელს, თუ მათ ამის სურვილი აქვთ..
- თითქმის ყველა სკოლაში კვება უფასოა.
- ხშირ შემთხვევაში მოსწავლეები მასწავლებელს მიმართავენ სახელით, რაც ქმნის უშუალო, თანასწორუფლებიან და მეგობრულ დამოკიდებულებას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

- სკოლებში მოსწავლეებისთვის ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მათ თავი იგრძნონ ისე, როგორც საკუთარ სახლში.
- მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც აქვთ თავისუფალი ჩაცმის სტილი. არ გაგიკვირდეთ თუ დერეფანში ჩუსტებით ან მხოლოდ წინდებით მოსიარულე მოსწავლეს გადააწყდებით.
- სპორტული ცხოვრების წახალისება ყველა სკოლისთვის პრიორიტეტულია. არსებობს სხვადასხვა სპროტული გუნდები და ეწყობა ჩემპიონატები. თითოეული მოსწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რომელიმე სპორტული აქტივობაში ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა, რაც დამატებითი კრედიტებით ფასდება.

სკოლის გარეთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შექმნილი აქვთ კლუბები. მაგალითად, ქალაქ ბურლინგტონში ვიზიტისას ასეთი კლუბის ფუნქციონირებას გავეცანით სახელწოდებით What's the story? „ვერმონტის ახალგაზრდების სოციალური სამოქმედო გუნდი". ეს კლუბი იგივე ლაბორატორია, განკუთვნილია საშუალო და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის, რომლებიც ერთად მუშაობითა და თანამშრომლობით ორიენტირებულები არიან ისეთი პროექტის შექმნაზე, რომელშიც გამოავლენენ მნიშვნელოვან და პრობლემატურ სოციალურ საკითხებს, ქმნიან დამაჯერებელ მულტიმედიურ ნარატივებს, რომლებიც ახდენენ ცვლილებებს საკუთარ თემში. კლუბში გაწევრიანებული მოსწავლეები ჯგუფდებიან ინტერესის სფეროს მიხედვით და კონკრეტული პროექტისა და საკითხის დამუშავების შემდეგ სკოლიდან იღებენ დამატებით კრედიტებსა და შეფასებას, რაც მათი სასკოლო შემოქმედებითი უნარების შეფასებისთვის არის მნიშვნელოვანი. მოსწავლეებს ფასილიტაციას უწევენ სკოლის მასწავლებლები, რომლებიც ამავე კლუბში არიან გაწევრიანებულები. ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სოციალურ საქმიანობაში. ეს კი, თავის მხრივ, მოსწავლეებში უზრუნველყოფს ლიდერული უნარჩვევების, კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მათი მიზანია ერთობლივი ძალებითა და პოზიტიური გავლენით აქციონ სამყარო უკეთეს ადგილად.

რაც შეეხება დაფინანსებას, ყველამ ვიცით, რომ კლუბებს აქვთ ლოჯისტიკური ხარჯები, მაგ: მასწავლებლების ხელფასები, სასწავლო რესურსები და ინვენტარი (თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამუშაო სივრცე) ეს ყველაფერი ფინანსდება საგრანტო პროგრამების ფარგლებში, რაც საკმაოდ გრძელვადიანი და მაღალბიუჯეტიანია.

რომ შევაჯამოთ, ამერიკა ნამდვილად არის ინოვაციებისა და უსაზღვრო შესაძლებლობების ქვეყანა. ამერიკულ სკოლებში არსებული გარემო-პირობები, უდავოდ, ყველა მასწავლებლისთვის საოცნებოა, თუმცა, ამის განხორციელება არც ისეთ ფანტასტიკის ჟანრს არ წარმოადგენს. მთავარია არ გვაშინებდეს ინოვაციები და ყველანაირი რესურსი ჩავდოთ განათლების სისტემაში, რადგან ეს ყოველივე ახალი თაობის მოაზროვნე საზოგადოებად ჩამოყალიბებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მე კი, როგორც რიგით მასწავლებელს, მეტი მოტივაცია მომეცა განვახორციელო ცვლილებები ჩემს საკლასო გარემოში და ამერიკაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო ჩემს მოსწავლეებს.

ავტორი: ნადია ქარდავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
სოფელ ლიხაურის საჯარო სკოლის

ინგლისურის მასწავლებელი.